



ISSN 0821-1509



# საქართველოს მწერი

1  
1989

645/2  
1989



საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უფელთიფური სანოგადლო-ებრიფ-პოლიტიკური დე მხატვრულ-ფუ-ტიერატურული ფურნალი.



«საქართველოს კალი» («ЖЕНЩИНА ГРУЗИИ»)

Ежемесячный ебществено-политиче-ский и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии

მთავარი რედაქტორი მარია ბარათაშვილი

Главный редактор МАРИКА БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია:

ნელი ზურაბიანი, ნონა ბაფრინაშვილი, ზინაიდა კახაბაძე, ღია პაპახაბაძე (პახუბისეგებელი მდივანი), ნაზი კილასონია, თეარ ლაშარაშვილი, კთივაან ლომთათიანი, ნინო თვანი, პატარა შლანი, ცინარა ბარილაძე (მხატვრული რედაქტორი), ნადია შალვაშვილი, ლუბა ზეირაული, ნინო ჯაჰანიშვილი.

ტექნიკური ნანული ბუკია

ბარბაქანის პირველ ბვირფე — სხასალწლო ნაბურგორტი. ზ. ლათაშვილის ფოტო; მირთხეჟა — გელა.

საქართველოს კკ ცკ-ის ბაგრომცემლობა

შრომის წითელი დროშის ორდენისანი საქ. კკ ცკ-ის ბამომცემლო-მის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина 14. Адрес редакции: 380096, Тбилиси, Ленина 14.

ფოტოგრაფი  
მარია ბარათაშვილი

მარია ბარათაშვილი

ახალი ველი!

ახალი წელი, საღამო შენდა! ეს მე გეძახი, ადგილის დედა, მე — ნარიყალას ციხესთან მდგარი, ქართული ქალი. დასაბამიდან მცველი ქართვლისა, მისი ფიჭრისა, მისი ნათლისა, მლოცველი, მისთა უნისლო დღეთა, მე — ქართვლის დედა.

აჰა, ეს თახი, სავსე შარბათით! დედა ვარ, თხოვნა ისმინე ჩემი: გთხოვ, დამილოცო დედაქალაქი, გთხოვ, დამილოცო სამშობლოს ბუენი! მე დედა ვარ და ვარ „დედა ენა“, გთხოვ, დამილოცო ჩემი ანბანი, მე დედა ვარ და ვარ „დედამიწა“ — მიწა, მრავალჭერ სისხლით ნაბანი. ვარ დედაბოძი, დამოცე სახლი, მშვიდობად მოხველ, წელი ახალი! მიზედნიერე მშობელი ხალხი, ქვეყნად სიცოცხლის ნერგი ახაროს! დედა ვარ, განა მარტო ქართვლისა? ქვეყანას სწვედება ფიჭრები ჩემი... მშვიდობით გეგლოს, მაცნედ ნათლისა! გთხოვ, დამილოცო სამყარო ვრცელი! მშვიდობად მოხველ, წელი ახალი!



# 1989

## საქართველოს ქალებს

განსაკუთრებული სურვილი მაქვს მოწინებით, დიდი პატივისცემით მივცხადო საქართველოს ქალებს, მივულოცო მათ ახალი წელი და ჯანმრთელობა, წინსვლა, შვილთა სიმრავლე ვუსურვო.

ქალისადმი, დედისადმი უაღრესი მოწინება და სიყვარული ქართველი ხალხის გამორჩეული თვისებაა. ისიც საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ის ყველაზე მტიციებს, ძლიერს, წმინდასა და ძვირფასს დედის სახელს უკავშირებდა. დღესაც მოგვდევს და მომავალშიც სულიერ საგლად გავაყვება ჩვენი დიდი წინპარების ილიას, აკაკის, ვაჟას შვიგონებანი — ისინი, დედა, ქართლის ვედრება, იმ ერს დარი უდვას, ვისაც ქარგი ქალები მყავს, ლამაზად შვილის გამზრდელი, დედა მიცვნია ღმერთადაო.

არ შეიძლება სათანადო პატივი არ მივაგოთ ჩვენს დღევანდელ ქალებს — მუშათა კლასის, კოლმეურნეთა, ინტელიგენციის, ახალგაზრდობის წარმომადგენლებს. იმაში, რაც გაქეთა და კეთება საქართველოს აღორძინებისათვის, რესპუბლიკის ეკონომიკური და სულიერი პოტენციალის გასაზრდელად, მათი უდავო წვლილი და დიდი დამსახურებაცაა. უღრმესი მადლობა მათ ამისათვის.

მაგრამ გასაკეთებელი უფრო მეტია, კიდევ არაერთი ზღუდე გვაქვს დასაძლიერი, რათა უფრო ავამაღლოთ ხალხის მატერიალური და სულიერი კეთილდღეობა, არსებითად გარდავქმნათ სასოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო. და აქ დიდი, განუზომელია ქალების როლი, პასუხისმგებლობა, მათი მამულიშვილური ვალი. ქალი — დედა, ქალი — აღმზრდელი, ქალი — მეოჯახე, ქალი — მომუშავე, ქალი მხნეულ-მთევველი და ქალი — შემოქმედი — აი მიძიე, მაგრამ სასახელი ტვირთი, რომლის ტარებაშიც ყველამ, მივლამ სასოგადოებამ მაქსიმალურად უნდა შეგაშველოთ ხელი. კარგად გვეხმის, რომ უფრო მეტი კონკრეტული დახმარება, მხარში დგომა, მეტი მზრუნველობა გქირდებათ.

განსაკუთრებით შვილა სიმცირე, მათი ფიზიკური და სულიერი სიმართლე, მაღალწინებრივ იდეალებზე აღზრდის მდგომარეობა გვაწუხებს დღეს. აქ თქვენ ვერავინ შეცვლით. თქვენი წმინდა ვალია შთაუნერგოთ შვილებს, ახალგაზრდობას, სამშობლოს ჭეშმარიტი სიყვარული, კონკრეტული, საქმიანი პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი, სწავლის წყურთილი, შრომის პატივისცემა, გონიერება და წინადაედულება, მაღალი მოქალაქეობრივი მრწამსი, პროფესიონალიზმისა და კომპეტენტურობისაკენ სწრაფვა; ყოველდღე ის, რითაც მართლაც შეიძლება მოვუტანოთ სარგებლობა რესპუბლიკას. აღარაფერს ვამბობ, თუ რაოდენ სჭირდება ჩვენს ერს უფრო მეტი და უფრო კარგად გაზრდილი შვილი. ჩვენ წუთითაც არ გვეპარება ეჭვი, რომ დღევანდელ ართულ ვითარებაში, როცა დემოკრატიაციისა და საქარობის გაფართოება, გარდაქმნისა და განახლების პროცესი ბევრი ჩვეული შეხედულებისა და საქმიანობის ძირფესვიან გადაფასებას მოითხოვს, ერთ-ერთი პირველები სწორად ქალები, დედები გაუძღვებიან ახალგაზრდობას სიკეთის, პატიოსნებისა და რწმენისაკენ მიმავალ მართალ გზაზე.

განსაკუთრებით გამორჩეული და ფეხბედნიერი ყოფილიყოს ამ მხრივ 1989 და ყოველი მომდევნო წელი თითოეული ოჯახისათვის, ქალისათვის, რესპუბლიკის ყველა მშრომელისათვის, მთელი საქართველოსათვის.

პატივისცემით **ჯუმბერ პატაშვილი**



# ქვემო გაშხე- ლილი სიყვან- რული

**ქ**ს საუკუნეთა სიშორიდან გამოშრალი ფერგადასული ტყარი არ არის. არც განსაკუთრებული მიზნით ნაგები, არც სასახლე და არც გამორჩეულთა თავშესაყარი.

აქ აგურებს შორის სიყვარული ჩაუტანებით და ისე აუწიდავთ შალა. ლამაზი ქალივით ამაყად იცქირება, თვალს გტაცებს და თავისკენ გიწიდავს. გაიკითხავ შეიძლება გაგიკვირდეს: პროფტექსასწავლების მოსწავლეთა სასწავლო და საცხოვრებელი კომპლექსია.

ერთსახოვანი, ტყუბისცალივით მსგავსი კორპუსებით თავმოგზრებული ფურერბ და გრანობ, როგორ მოგნატრებია, როგორ ესაღბუნება მზრას ეს ქვაღქციული მშვენიერება. ამიტომ შეიძლება გულიც დაგწყდეს, ერთ ჩვეულებრივ ქუჩაზე რომ დგას და არა ქალაქის ცენტრში, საჩინოდ.

...მეწამული აგური ფონად დასდებია ფასადს. ოსტატს ზედ ტანაყრილი თეთრი ხე გამოუსახავს. ხე სიმბოლური ჩანაფიქრია — ამ შუნობაში თაობები გაიზრდებიან. ნატიფად თლილი ქვები ისე სათუთად მისჯრიან ერთმანეთს, თითქოს ეს უველაფერი თვეობით ნაფიქრი და ნატანჯი კი არა, ერთი ამოსუნთქვა იყოს. შესასვლელი კიბიდან დაწყებული უკანასკნელი ტექნიკური სართულის ჩათვლით მისხლად-მისხლად გამოშრომილ-გამოთვლილია: არც ერთი ზედმეტი არქიტექტურ-



რული ელემენტი, არც ერთი უფუფრეცო და ულხამურო დეტალი. აივნები ფასად მივანი მოკეცული, ორიგინალური და გამომსახველი ტანის მოპირებები, ფანჯრები სადა, ყავისფრად შედგენილი, შერწყმული წინხედს. თავად შენობა მაღალი და ფართოა, სივრცე არ ჰყოფნისო, თითქოს ამიტომ კარვად რომ აღიქვას, ქუჩის მოსარბაპირე მხრიდან უნდა ვახელო. საერთოდ კი, ზედწინებით დახვეწილი და ეფექტური, ჩვენი ქვეყნისთვის ერთ-ერთი უფასესი ნაგებობაა მართლაც.

მე მომეჩვენება, რომ იგი მიხი ავტორის (არქიტექტორი — ვიქტორ ჭარბენაძე) უნდობით გულში ნადები და ახლა ხორც-მუსხუსული ფანჯარაა. მასში იმდენი თავისუფლება და სითამამეა, იმდენად ძლიერი და უზღალო წარმოსახვა, რომ კარვა ხნის მანძილზე დაპირებულმსახურს მკაცრი რატიტეტურული სტლის საზღვრებში ვეღარ ჩაეტეოდა და თავისი ინდივიდუალური სახე მოეუნახავს.

იგი გვაგონებს მოედნთან, ზუღაღმუტის ქუჩაზე და ამიერკავკასიის სატრანსპორტო სპეციალიზებული ტრისტის № 18 სახაზო პროექტსასწავლებელს ეთუენისა. თავდაპირველი პროექტი ამ შიშ-ადგილიანი ადრეთი სახეცხოვრების აშენება იყო გავიანდასწინებული, მაგრამ იმის გამო, რომ რესპუბლიკის ჩაიონებინა დედაქალაქში მოწინავეთა მიღება და ჩაჭრა შეუძლავ, მიხი დანიშნულება გარკვეულად შეიცვალა. სახეცხოვრებელ ოთახებს შენობის მხოლოდ რამდენიმე სართული დაეთმობა. დანარჩენ სართულში კი განლაგდა სამკაცდენი ოთახები თურინისა და პრაქტიკისთვის, სახელსწიები მოსწავლე-მშენებლებისა და რესტავრატორებისათვის, ინფორმაციისა და გამოთვლის ტექნიკის კაბინეტ-ლაბორატორიები. აქვე იქნება ბიბლიოთეკა, მუზეუმი, კომპიუტერიული სასტუმრო და ქორეოგრაფიული სტადია.

რაც შეეხება პირველ სართულს, რომელიც განსაკუთრებულ მოწინავეთა და გეოგნების მომუშაოკეთებით (იბაჯრე მარმარილოა დაგებული, ხოლო კედლებისათვის „მთლიანი“ თეთრი ქვა გამოყენებოდა) უნდა აღიქვას (სამუშაოთა მწარმოებელი), ბადრი დეკანოზიძე, რუბენ ლონდაძე, შალვა გელდიანიშვილი, სულიკო ბედიანიშვილი, სერგო გელაშვილი, მიხეილ ნოზაძე, გურამ სარტანანიშვილი და სხვები... იხიენ, ვინც სარკველის გაბიზინად ბოლო აჭურის დაღებამდე მიყულოან საქმეს და აქაურობას არ მოსცილებიან, თავს დასტ-

რიალებენ თითოეულ დეტალს. სულ მალე აქ საინტერესო, შინაარსიანი ცხოვრება დაიწყება. მოსწავლეები სრულყოფილად ეფუფრებიან თავიანთ სპეციალობებს, პრაქტიკულად იმუშავენ, გაიწვებიან. გარდა ამისა, სამშენებლო ტრესტისა და პროფტექნიკუმის ხელმძღვანელებს ერთობლივი მუშაობაც გაუთვალისწინებია: შეიქმნება გაერთიანებული საწარმოო კომპერატივი, რომელშიც მოსწავლეები, ოსტატ-მასწავლებლები და ტრესტის მუშაკები თანამშრომლებენ. მათი საქმიანობა ძირითადად სასწავლებლის პროფილის მიხედვით წარისმართება. ჩამოყალიბდება სარეზინო, სამშენებლო, სარესტავრაციო და ავტოტექნიკის სახეცხოვრების უბნები. წარმოებულ პროდუქციის რეალიზაციით შემოსული თანხაც ამ ორ ორგანიზაციას შორის განაწილებება. სავალო თანხა დაუფრავდება მოსწავლეებსაც, რომლებსაც იგი სასწავლებლის დამთავრებამდე შენახველ სალოაროში შეეცნებათ. უფროსებს მიანიშნავს, რომ ასეთი დანატრესება ემარწვლება თავიანთი ხელისის უფრო დრმად შესწავლისათვის, დაოსტატებისათვის განაწილებს და ამით სპეციალისტთა მომზადების დონეც ამაღლებდა. ამასთანავე, ამ შენობის ერთ-ერთ დიდ სკეთედ ოსტატ-მასწავლებლები იმასაც თვლიან, რომ ადრე მოსწავლეები სასწავლო პრაქტიკას სხვადასხვა ფაბრიკა-ქარხანაში გადიოდნენ, ახლა კი ამის საშუალება აქვე იქნებათ და უფროსებიც უყველდღიურად შეთვალუფრეობას გაუწევენ.

არც ისე დიდი ხნის წინათ ერთგვარი სახეცხოვრება და უფრეხულოება მოსწავლეების საშუალო სკოლიდან პროექტსასწავლებელთა გადასვლა. მაგრამ თანდათან ყველასათვის ნათელი გახდა, რომ ეს უსანასწერილი მომავალი მშრომელი კადრების აღჭრების საუკეთესო სასწავლებელი კარი შეიღოს. ამიტომ არის, რომ რაც დრო გადის, უფრო და უფრო იზრდება პროფტექნიკუმის ვეტორიებისა და მიხი ცენტრებისა საწარმოებში გაგვანელი საუკეთესო ახალგაზრდა და მუშათა რიცხვიც. როგორ შეიძლება იმ დიდ ურადლებასა და მშრუნველობას მიუხეუბო თვალი, რომლის ერთ-ერთი საუკეთესოც უნდა იქნება შენობა. მიხედ ხომ სულ უცხო გამველასაც გენჯავა ული, და იმას როგორღა დარჩება მუშაწიველი, ვისაც არჩებენ ღრე დასახეობა. ოთახებს მათი დილილი გაათობოს, სასმიანობეს, გაახალისებოს.

უფრო ღამაში და მიმზიდველი გამორჩელება ეს დიდი, კეთილი სახლი. აჭურებს შორის ჩატანებული სიყვარული ყველაფრის იტყვის.

\*\*\*  
შინ მომავალი  
ზედინერგული  
მარგა „დარბეულ“ სახლის.  
„ქვიმე“ ფუნოზუალოუება  
ბავშვებს  
და ვისმალბედ ხმას,  
მერე საფარად ექმებდნენ  
მამის  
ხელსა და ფართო მხარს.  
გატრფუნული არა მაიკლებდნენ  
ანც, მოციციმე თვალს,  
გულში მიღობდნენ  
წუნებს, სიბრაზეს  
ფოლადს აცლიდნენ მამას,  
ღამისს უღლიდნენ  
წამიერ ხახავსა. —  
მე არ ვნახობდე სხვას,  
ლოლდ ლოლან,  
ოლოდ იხარონ,  
უსხეცემოდ ვეძებდე ჯავს.  
მარგამ სადაა  
შინადადგილი,  
რაცო ცოცხანს მკავს,  
და სინანულით უშეცქერი  
შევიდა  
ჩემს დაღაბეულ სახლს.

### მოლოცობი

უდასახლისო სახლს ერთი ხანია  
კაცი მარტოდამარტო აღებს,  
და მოთინებთი ელის ქალი  
მის კითხვებით ეროდერთ აღრხს...  
ქალის თბილ თითებს ელოდება  
ქურთ, ქვაბები, ჭერი,  
სახლს ცრემლი ახრჩობს  
ღამე რუმად  
და საღდაც ხარობს მტერი...  
სიყვარული ისევ დაემგავრებო  
იმ ცოლ-ქარას —  
ენატრობს ახე.  
მზორუნდებოდეს ფორტება —  
მიზანი დღებშიც სხვან.  
გორაში კაცი გალიმებდეს,  
დათავრებუბოდეს „მოი“,  
იტავლეს: როგორ გავიბეგო  
ამდენხანს ნანატრი ცოლი.  
წივდა ღილილი ანთივოდეს  
თვალეში სევდიანი ქალის,  
იმ ძველი სიბარბეობით, აღტაცებით,  
კარებს შეუღლებდეს ქმარი.  
თვალეში, ღიმილი იტყუებს ყველაფრს,  
სიტყვას არ დასწივებდეს ძენა.  
ეგრამა აიწიოს, მოყვარეობს  
და ნუცე ვიხაროს მტერმა.

აქ. სსრ კ. მარქსის  
სახ. სახ. რესპუბ.



# ბავშვები- ნაღთს საზრუნავი

ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანება „ბახტრიონი“ მსუბუქი მრეწველობის დარგის ერთ-ერთი მონიწივე საწარმოა რესპუბლიკაში, სადაც უმეტესად ქალები მუშაობენ. გაერთიანება შარშან რვა თვის გვეგვის გადასემებით 78.600 ცალი ტრიკოტაჟის ნაწარმში გამოუშვა, პირნათლად შესარულა წლიური ყველა სახელშეკრულებო გეგმა-ვალდებულება, გაანაღდა მოვების, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და სხვა მაჩვენებლები. აქ დიდი გულისყურით ეცილებიან პროდუქციის ხარისხს, ახალი მოდელების ათვისებას, რასაც სამხატვრო საბჭო განაგებს. მკაცრად ამონებენ ნედლეულის მოწოდებულ ბაზას — საქონელ ფაბრიკას, რათა წუნმა შემდეგ მზა პროდუქციისა არ იჩინოს თავი. საგანმეურნელო და საკერავ სამაქროებში ყველაფერს ღონიერად იმისათვის, რომ უწარწნო და უდუნაპარო წარმოებით შექმნან მაღალტექნოლოგიური მომხმარებლის მოსაწონი ასორტიმენტები. დაინერგა ათი ახალი მრეკალ საქსოვი მანქანა, რომელია მეშვიშობით მძლავრულია შემსუბუქებელი ხდართები, წინა წლებთან შედარებით 55 პროცენტით გაუმჯობესდა და დაიხვეწა თანამედროვე მოდური ტრიკოტაჟის მოდელი. მალე ამოქმედდება სპორტული ტრიკოტაჟის ხაზი, რომელიც წელნადში 800.000 ცალ სპორტულ ნაწარმს დაამზადებს.

მეგრი სახალხთ იწონებენ დღეს თავის ბახტრიონელი ფიქრები: ევეგია ნიკიანაშვილი, ლალი გიგიტაშვილი, ლილია ქიმაძე, ანტონინა მოზგოვაია, ლილი ნაცალიშვილი, ჟუსუანა გაგლოვა, ცისანა სურგულაძე და სხვები.

\* \* \*  
გაერთიანებაში, თითქმის საგანგებოდ, სამივენი ერთად დაგვიხდნენ: პარტიული კომიტეტის მდივანი დალი დიდუბელიძე, პროფკომიტეტის თავმჯდომარე ანა მანუშელაშვილი და ექსპერიმენტული სამაქროს კონტროლიორი, რაიონული საბჭოს დეპუტატი, პარტიის საბურთალოს რაიკომის წევრი, გაერთიანების ქალთა საბჭოს თავმჯდომარე ფატი მყავანძი. მათ ემაღ-

ლიერებიან საწარმოს მუშები. აქ ტრადიციად იქცა მუშად კურთხევა, მონიწივე მუშებთან მოსწავლეთა შეხვედრები, ფიქრები პატრონობენ მარტოხელა მოხუცებს, ესმარებიან მრავალშვილიან დიდებულ...

თბილისში წიგნის საკემპრო ფესტივალის დღეებში წიგნის მოყვარულთა საქალაქო ორგანიზაციამ (პასუხისმგებელი მდივანი თინა გურგენიძე) „ბახტრიონში“ საგანგებოდ მოაწყო საზრინად მოფიქრებული ღონისძიება დევიზით — „ახალგაზრდა დედის დღე“.

სათქმელი ასე შორიდან საგანგებოდ დაიწყო, გვიდად მკითხველმა იცადეს, რამე ამ საწარმოში მარტო ციფრებით, გეგმებით, მიღწევებით და ათასჯარი ღონისძიებებით როდ იფარებოდა, აქ უპირველესი საზრუნავი ადამიანია.

ბახტრიონელთა კოლექტიურმა წერილმა მიტვირთა საქსოვი სამაქროს მუშათან 23 წლის ხუთი შვილის დედასთან — ლალი თამარაშვილ-პეტრიაშვილი. ჩანაფიქრი არ გავერძობოდა, გვიწოდოდა ფიქრით დედა ჯერ თავის საქსოვ დედასთან მოგვეხსახულებინა, შემდეგ ვწვეოდით ოჯახში, შის პატარებთან, მაგარა...

დაქორწინების მერე ლალი თითქმის სულ დეკორულ შევებულაშია. გაერთიანებაში ამყოფენ მისით, ყველა პირობას უქმნიან, რათა თავი კარგად იგრძნოს და მათთან არსად ისურვოს წასვლა. შარშან ლალის მრავალრცხოვანმა ოჯახმა უფსავლ დაისცა ბაქრონიანში, საწარმო მატერიალურად ეხმარება. პერიოდულად პატარებისათვის საგანგებოდ იკერება ტანსაცმელი, ზომები რომ არ შეცდნენ, ხელმძღვანელობას დაზუსტებული აქვს თითოეული ბავშვის ასაკი — მერი ხუთი წლისაა, მიხელო — ოთხის, ილია — სამის, ბექა — ორის და მარიამი — წლის. გაერთიანების დირექტორი გენდალ ხაკალაშვილი მრავალშვილიან ოჯახს ყურადღებას არ აკლებს. ოღონდაც ფილთა სიმრავლე იყოს და მათთვის ზოგჯერ „უკანონობასაც“ ჩადის. წელნადში ორ-სამჯერ ხუთ პატარას ჩამონაჭებობისაგან ტანსაცმლის რამდენიმე

კომპლექტს უზაადენ. გვერდში ასეთი მზრუნველი ადამიანები რომ არ ედგნენ, გაუჭირდებოდათ რესპულიანი ოჯახის რჩენა ლალის მუელეს გიგოს, პროფესიით მძღლოს და მის პენსიონერ დედას.

აღმავლოებულთა, რომ პეტრიაშვილები 19 კვადრატულ მეტრთან ნახვერად სარდაფში ცხოვრობენ. აქ ყოველჯერ კომფორტულ ლაპარაკ ზემდებთა, განსაკუთრებით ხამორის სუხისთან დღეებში ჭირს ხუთი მძიერწლევისანი მოვლა.

ოჯახის დედა ემადლიერება უბნის პედაგოგის თამილა ექიმს, იმ ბაგა-ბაღის აღმზრდელ უდაგოკებს, სადაც მისი პატარები უფსავლ იკვებებიან.

საწყენია, შრომელთა დეპუტატების ღელნის რიასბჭოს აღმასკომის დამოკიდებულთა მრავალშვილიანი ოჯახებისადმი. როცა პეტრიაშვილია ოჯახი არიციცავზე აიყვანეს, რიგით 214-ე ყოფილა. ერთი წლის შემდეგ ამის გასაგებად მიუკითხავი, მათ რიცხ წინ წაწვიან ნაცულად უკან გადაუწყველბია. აქ კომენტარი ზემდებთა. ნეთუ ამ ორგანიზაციაში ერთი ადამიანი მაინც არ აღმოჩნდა ისეთი გულისხმიერი, რომელიც დაინტერდებოდა ახალგაზრდა ოჯახების ბედით, შეამომწმედა რამდენიმე მრავალშვილიანთა საცხოვრებელ პირობებს? მართალია, ღელნის რაიონი მუშათა რაიონია და მრავალშვილიანი ოჯახებზე საკმაოდ ყველდება, მაგარა ზუთშვილიანი ახალგაზრდა ოჯახი ბევრი არ იქნება. იგი რიონ-ჰესის 56 ნომერ სახლში ცხოვრობს. ბავშვებს უპატიოობასა სხის ფერი დაუკარგავ. მათ მიმუელება და თანადგობა სჭირდებათ. აბა, მარტო მოწოდებასათი წარმოქმემულ ლიტონ სიტყვებს რა ფასი აქვს!

ჩვენი მრავალჭირგამოვილი ქართული სახლის დღეებში დიდი უპირველესი და გადამდებელი მომღმეა ერის გამრავლება და მითისა თუ ბარის სოფლდენი მიგრაციის შეჩერება. ამიტომ ძალზე საჭირო იყო დემოგრაფიული ფუნდის შექმნა, რომლის ფულად შემოსავალი მრავალშვილიანი და ახალშექმნილი ოჯახებს მომარდებდა, არ, მისთანებს, ზემოთ რომ მოგახსენეთ.

ასეთია დღეს ხალხის ნება-სურვილი.



# მისი სიძულძე

რამდენიმე ეპიზოდში მრავალშვილიანი დედის ცხოვრებაზე



ოთახი, სადაც ნაზიბროლა მეგუ-  
ლაშვილი და თენგიზ მოსეშვილი  
თავიანთი ექვსი შვილით ცხოვრო-  
ბენ, პატარაა, სულ 24 კვადრატუ-  
ლი მეტრი, მაგრამ ამ ოჯახში ყვე-  
ლას საკუთარი კუთხე აქვს. ახლა  
ყველა შინაა, მაგრამ ისეთი სიჩუ-  
შეა, გაოცდებით, ეკა საკმელს აყე-  
თებს, ქეთინო ნამცხვარს აცხობს,  
ოთხი წლის თამრიკო პაუჩია ტყუ-  
პებს „პატრონობს“, ნინიკოს კი  
მშვიდობა სძინავს აყვანში. დედა იქ-  
ვე აუთოებს, ეკას და ქეთინოს სკო-  
ლაში წასასვლელად ამზადებს.

\*\*\*

ეკა მერვე კლასის ფრიადოსანი  
მოსწავლეა. იგი ისე შეეჩვია ბავ-  
შეების ხმაურს, რომ ალბათ გაუ-  
ჭირდება კიდევ მეცადინეობა მათი  
„აკომპანიმენტის გარეშე“. ახლა  
იგი წიგნებს მისკდომია და დედაცოს  
თხოვნით ხმამაღლა კითხულობს,  
დედა იღიძება, აგონდება სამი წლის  
ეკა, როცა პაუჩია გოგონამ იგრძნო,  
დედას ქეთინოს დამტოვებელი არა-  
ვინ ჰყავსო და შესთავაზა, მე წავალ  
რძის მოსატანადო. დედა გულის-  
კანკალით დასთანხმდა, მერე კი  
შვილის მოსვლამდე რა არ წარმოი-  
დგინა: ავარია, წაქცეული ეკა, დამ-  
ხვრეული რძის ბოთლი, მაგრამ  
ეკამ ყოჩაღად შესარტულა ჩანაფიჭ-  
რი: უვნებლად მოვიდა და დაიკოს  
რძე მოუტანა.

მარიკა და ხატია ტყუპები არიან,  
მაგრამ ხასითით ერთმანეთისაგან  
განსხვავდებიან. ერთი ცოტა ჯიუ-  
ტია და ჭამაზე ჰირვეულობს. მეო-  
რეს კი ძალიან უყვარს ჭამა და მე-  
სიკა. თამრიკო ცეროდენა იყო, რო-  
ცა მათი ტირილის გაგონებაზე  
ძლივს მიბაჯბაჯდებოდა დედასთან  
და ხელით ანიშებდა, წადი, ბაიები  
ტირიანო...

ერთხელ ბაღში ხატია მადილზე  
უარის სთქვა. მაიკომ პირველმა მოი-  
მარჯვა კოვზი, როცა გვერდით დი-  
კო ვერ შენიშნა, სწრაფად წაბაჯ-  
ბაჯდა, წამოიყვანა, გვერდით მოისკვა  
და მანამ არ ისადილა, სანამ ხატია  
ჭამა არ დაიწყო, და ეს „მსხვერპ-  
ლი“ დის გამო გაიღო.

\*\*\*

ოჯახში ხშირად მოდიან სტუმრ-  
ბი და ყველას უკვირს, როგორ  
იზრდება ექვსი ბავშვი ამ პაუჩია ბი-  
ნაში, უბაზანოდ, ერთციცადა საიზა-  
ზეულოს ამარა. რატომ სხვადასხვა  
ინსტანციებში არ მიხვალ ამ შუნი  
ბავშვებით — მაშინვე დაგაქმეყო-  
ფილემენ — ურჩევენ ისინი დასახ-  
ლოს, მაგრამ იგი ღიმილად პასუ-  
ხობს:

— მერიდება. მე შვილები კეთილ-  
დღეობის მოსამოვებლად არ გამი-  
ჩენია, მთავარია განმრთულად მყავ-  
დენენ, უყვარდეთ ერთმანეთი, შრო-  
მა, ქვეყანა, დანარჩენი ყველაფე-  
რი თვისით მოვა...

— სოფელში მაინც გააზავენე,  
დედაც იქ გაყავს და დედამთილიც,  
მოგეხმარებიან.

— ბავშვები მშობლებთან უნდა  
იზრდებოდნენ, ერთი დღითაც რომ  
მომშორდნენ, ასე მგონია, უჭირთ  
რამე. ვერ ვისვენებ. ყველა დედა  
ასეა, მე კი — ექვსსაყვარ მეტად!

\*\*\*

ნაზიბროლა და თენგიზი თანაკლა-  
სელები არიან. მათთან ერთად გაი-  
ზარდა და დაფრთხილდა მათი სიყვარ-  
ული; როცა გამოსაშვებ სადამოუზე  
თენგიზმა უთხრა, ნაზიბროლა, ინს-  
ტიტუტს რომ დაეამთავრებთ, შე-  
ვეუღლდებითო, გოგონას სასაციო-  
ლოდ არ ეყო... ნაზიბროლა უნი-  
ვერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიუ-  
რი ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.  
წარჩინებული სტუდენტი სამეცნიერ-  
ო მუშაობაზე ოცნებობდა. აი,  
მაღე დიდერტაქისაც დაიცავს და  
მერე... — მაგრამ თენგიზი ასე არ  
ფიქრობდა. დამამთავრა პოლიტექნი-  
კური ინსტიტუტი და პირობა შეახ-  
სენა, იცოდა გულისსწორის ხასიათი.  
უარს ელოდა, მაგრამ... ყველა წო-  
დებაზე დიდი და საპატიო არის დე-  
ლობა — ასე ფიქრობს ახლა, მაშინ-  
დაც ასე ფიქრობდა, მთავარია სურ-  
ვილი, მონდომება. სხვა ყველაფერი  
— ეკონომიკაც, უბინაობაც — მხო-  
ლოდ მიზეზია. რა უნდა იყოს იმაზე

საამაყო, რომ ამდენ სიცოცხლეს შემატებ ქვეყანას, ერს.

ახლა ნაზიბროლა საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის ეკონომიკური ინფორმაციის მექანიზებული დამუშავების ორგანიზაციის კათედრაზე მუშაობს. სტუდენტებს უყვართ ახალგაზრდა პედაგოგი. იგი მათთვის დედობის მაგალითიც არის. სწორედ უნივერსიტეტმა უშუამდგომლა ახალგაზრდა ოჯახს, რათა დროზე დაკმაყოფილდეს ბინით... მერე კი, მერე ისევ შვილები. ათი შვილი უნდა გავაზარდო და ამაზე მეტი სიმძიღრე არც მინდაო.

თენგიზმა პოლიტექნიკური ინსტიტუტის შემდეგ უნივერსიტეტში დაამთავრა მეუღლის ხათრით. ახლა ისიც ინჟინერ-ეკონომისტია. მათი საშუალო შემოსავალი ოთხას მანეთს არ აღემატება, მაგრამ ნაზიბროლა იტყვის ხოლმე, „საბანი ისე დაიხურე, როგორც გაგწვდება“... და კიდევ: „ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყო“.


ბოლოს ერთ საიდუმლოსაც გაგიმხელთ — მრავალშვილიანი დედა სტრიქონებდალ ასხამს ხოლმე ფიქრებს:

და თუ კი მიწა აღარ გვეყო  
საქართველოში  
მერე იალბუხს მივაშურებთ,  
იქ დავსახლდებით,  
ქართველი ქალი კერას ყველაგან  
გაათბობს გულით.  
კარგი შვილებით გაახაროს  
ოღონდ მამული

აი, ეს არის მრავალშვილიანი დედის სათქმელიც და საზრუნავიც.  
პოდა:  
გზა მიეცი, საქართველოს მომავალი მოდის!

ირინე კუპაძე

# სტრუქტურული რეკონსტრუქციის ირეაბილი



სოფელი გზიდან იწყება. დაკვირვებული კაცი მიმავალი მანქანის ან ავტობუსის გადასახედიდანაც მშვენივრად უმწერს ახლომასლო მცხოვრებთა ოჯახებს, მათ კარმიდამოს.

მცხეთის რაიონის სოფელი გლდანიც გზიდან იწყება. მართალია, ეს გზა წინათ უფრო შორიდან იღებდა სათავეს, უფრო მეტი შარა-შუკაც ერთვოდა აქეთ-იქიდან, მაგრამ მაინც სოფლის სარკეა, მისი ცხოვრების, მისი სიხარულისა და ტკივილის ნამდვილი მაცნე.

სოფელი გზიდან იწყება. ამ გზას კი რამდენიმე წუთში საბჭოსთან მივყავართ. სამი წელიწადია, რაც სოფელს ახალგაზრდა კაცი თენგიზ გიორგობიანი ჩაუდგა სათავეში. აქაურ მკვიდრს ყველაზე მეტად შესტიკვა გული სოფლის ავ-კარგზე და გლდანელებმა ამიტომაც დაუპირეს მხარი მის კანდიდატურას. არჩევანმა არც უმტყუნა.





სოფელ გლდანის საბავშვო ბაღის აღსაზრდელები

დიდი ხანია აქაურები ბუნებრივი გაზის გაყვანას ღამობდნენ. მათი ოცნება მალე რეალობად იქცა — სტალინის ქუჩაზე უკვე დაიწყო გაზიფიკაციის სამუშაოები.

უკვე მეორე წელია, რაც მცირე-წლოვანმა გლდანელებმა 140 ბავშვისათვის გათვალისწინებული საბავშვო ბაღის ახალი შენობა მიიღეს საჩუქრად.

ერთი წლის წინათ გლდანში საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები გაიხსნა ახალი სოფელშივე შეიქმნა ფეხსაცმლისა თუ ტანსაცმლის შეკრვა, მინის გრაფიურება, რკინისა თუ ხის ნაკეთობათა დამზადება.

სოფელი გზიდან იწყება და გლდანის თავკაცებმა მოხრეშილ და ჭერ კიდევ მოუახლოებდნენ გზებსაც მიაყრეს ყურადღება. შარშანდღემა დიდთოვლობამ ახალბოხსაც დაამჩნია თავისი კვალი. უკვე დაიწყო და მალე დამთავრდება გზების შეკეთება, მოსაფლავება. ამ საქმეს მცხეთის საგზაო საწარმოო უბანი ემსახურება.

სოფლისათვის თავდადებული ადამიანები თ. გიორგობიანს მხარში უღვანან. ისინი მრავალნი არიან. მათ შორის ქების ღირსია სასოფლო საბჭოს დეპუტატი, დეპუტატთა ჯგუფის თავმჯდომარე ნათელა აბაუშვილი. პირდაპირი, სამართლიანი, ნათელას კვალია გზის საქმეებზე მეტკველებს. სოფელში სტუმრად მოსულ კაცს თვალში აუცილებლად მოხვდება შინამოსვლელი ობიექტი. ომში დაღუპულ გლდანელთა მეზობრალური დედა, სწორედ ნათელა აბაუშვილის ინიციატივითა და უშუალოდ მოწინააღმდეგეობით გაკეთდა ეს სასო-

ფელიშვილო საქმე, დიდი რუდუნებითა და გულმოდგინებით აკრძებდა იგი ომში დაღუპულთა სურათებს, ცნობებს თითოეული შინამოსვლელი ჭაბუკის შესახებ, კეთილმოეწყო სასოფლო გზები, შეიცვალა და გადაადრება ძველი დობები.

სოფელში სტუმრად მოსული კაცი ჭერ გზას ხედავს. სანამ ოჯახში შემოვა, ეწოდება გადმოიაროს, კარ-მიადამოს უნდა შეავლოს თვალი. ეზოდან გამოხვეტილობა, ღობის ვარეთ გადმოყრილობა ნაგავმა, გზის პირას დაყრილობა ძირგავარდნილობა ვედროვება, ჯამ-ჭურჭლის ნამტვრევებმა არა მგონია კარგ განწყობაზე დააყენოს სოფლის სტუმარი. მოძალბებულმა ნაგავმა სტუმარს კი არა, ავტო სოფლისავე მკვიდრს ნათელა აბაუშვილსაც დაუკარგა მოსვენება. იზრუნა, სხვებიც შეაწუხა და საქმე მოავარა. უკვე მესამე წელია, რაც გლდანს სპეციალური მანქანა ემსახურება, რომელსაც ყოველდღიური ნაგავი გააქვს სოფლიდან.

სოფლისათვის უზრუნველი სასოფლო საბჭოს მდივანს ნაო რაჭმაძეს, გლდანის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მუშოს, რაიონული საბჭოს დეპუტატს ლია ზურაბიშვილს, საბჭო მეურნეობის ბრიგადირს, საბატიო ნინოს ორდენოსანს ნათელა მახაჟაშვილს, საბჭო მეურნეობის მუშას იზოლდა ჭინჭარაულს, მეურნეობის სახელთა და ნერგების ინჟინერს მზია მიდელაურს.

გლდანელები განსაკუთრებული სიყვარულით ასხენებენ ზოვეტერინარული ინსტიტუტის კვლევითი ბაზის მუშას, 20 წლის ინგა შენგე-

ლიას, რომელიც პირველად აირჩიეს სასოფლო საბჭოს დეპუტატად. დეპუტატად არჩევა და საქმიანი წინდადება ერთი იყო — აბუაშვილების უბანში სასმელი წყლის მიღება დაწინაურებული და უნდა დროზე მივხედოთ, — თქვა და ბოლომდე მისილია კიდევ საქმეს. მისი ინიციატივით წყალსადენი მილი შეიცვალა და ახლას სასმელი წყალიც აღარ იღვრება უმისწოდ.

სოფელი გზიდან იწყება და ამ გზას კბილცხობაშვილების მრავალწლიანი ოჯახამდე მიყვავართ. შვილი შვილი იზრდება ოჯახში. სულ მალე მათ მერვეც მიემატება. ყველაზე მეტად საბავშვო ბაღის სისურვს აწუხებდა პატივცემულ მერის და თითქმის მის გულში ისხდნენო, სწორედ მის მეზობლად დაიდგეს ბინა პატარა გლდანელებმა. ყველაზე საინტერესოა მინც ის იყო, რომ სასოფლო საბჭოს დახმარებით ცოლ-ქმარმა იქვე, თავიანთ კერაიანთან ახლოს, საბავშვო ბაღში დაიწყეს მუშაობა. კბილცხობაშვილებს დამატებით საკარმადამო მიწის ნაკვეთიც გამოუყვეს და სულ მალე ახალი სახლის მშენებლობასაც უშუადგინებან.

თუ კარგად მიუღებდეს ყურს, გზის ჩურჩულსაც გაიგონებ. ის სოფლისა და სოფლელების ამავეს გვიყვება, მათ სიკეთეზე მოგვითხრობს. მოსაყოლს და სამომბოს კი ახა რა გამოუთლევს გლდანის გზას, ერთ ღირს უდიდეს სოფელს ხომ დღესაც ეამყება თავისი აწმყო და წარსული, გამარჯვებული, შრომაში გაჭაღარავებული ადამიანები, ახალგაზრდები, გოგონიჭები.



# ყველაზე ბედნიერი დღე

ასქალაქი მოზრას ნაამაზი

მასწავლებელმა საკლასო წერისათვის თემა მოგვცა: „ყველაზე ბედნიერი დღე ჩემს ცხოვრებაში“.

რეულად გადავხედი და ჩავფიქრდი. რომელი იყო ყველაზე ბედნიერი?

პოდა, ოთხი თვის წინანდელი ერთი კვირადღე ავირჩიე. იმ დღეს მე და მამაჩემი ჯერ კინოში წავედით, მერე ბუბისთან. ასე რომ, ორმაგად ვისიამოვნეთ.

მაგრამ ჩვენი მასწავლებელი მარია ეფიომენა გვეუბნება ხოლმე: ნამდვილად ბედნიერი მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს, როცა სარგებლობა მოგაქვს ადამიანებისთვისო. ვის რას არ გებდა ჩემი და მამაჩემის სეინრობა?

იქნებ, სხვა დროს მარია ეფიომენას აზრისთვის ანგარიში არც გაქმნიდა, მაგრამ მეფთხედის წინაშე მაქვს გამოსასწორებელი. არც მანქანისთვის მოვიკლავდი თავს, ოღონდ მაშინ მეცხრემი არ გადამიყვანენ. მარია ეფიომენამ გაგაფრთხილა, ახლა ჩვენს ქვეყანაში ინტელიგენციის სიჭარბეა და მუშაობა კლასის დეფიციტით, ასე რომ, ჩვენგან კვალიფიციური მუშაობის ფონდს შექმნიან.

ჩემი მეგობრის ლენკა კონკრეტულად რეველში ვიყავით. ლენკა არაბეულბერივი სისწრაფითა და მეგზვებარებით წერს, ჩემთვის ყველაზე ბედნიერი ის დღე იყო, პიონერთა რიგებში რომ მიმიღესო.

მეც გაბახსენდა, როგორ მიმიღეს პიონერად სასაზღვრო ჯარის მუხუშუში და როგორ არ მერგო პიონერის სამკერდე ნიშანი. შუფები და პიონერულმძღვანელები არიანდენ, მაგრამ სამკერდე ნიშანი ვერასდ მიიძიეს.

„პარტიო, არა უშავს შეთქი?“, — ვუთხარი, მაგრამ გეუბნება გამოიფუქდა... ჩვენ მუხუშუში დაგვათავლიერებინეს, თან მისი შექმნის ისტორიას გვიამბობდნენ, მაგრამ მე ვერაფერი დავიმახსოვრე...

ახლა ის გაბახსენდა, ერთხელ მე და დედამ ვიღაც გატია-ლუბელი მთვალა შინ რომ მივიყვანეთ. მას ფეხსაცმელი დაპიკარგოდა და თოვლში წინდებისამარა იჯდა. დედამ თქვა: ამისი ქუჩაში დაბრუნება არახაზით არ იქნება, ვინ იცის, რა უხედურად სჭირსო. ვკითხეთ, სად ცხოვრობდა და იმ მისამართზე წავიყვანეთ. აი მაშინ, ალბათ, სასარგებლო საქმე ჩავიდინეთ, იმიტომ, რომ იმ ქაივამ თოვლიში კი არა, თავის ხახლში დაიძინა და ოჯახიც აღარ აფორიატებდა. მაგრამ ყველაზე ბედნიერ დღედ, ცხადია, ამ დღეს ვერ ჩავთვლი: წავიყვანეთ და წავიყვანეთ, აა მოხდა მერქ!

ახლა მარჯვნივ გადავიხარე და მამუკა გვოხდევას რეველში ჩავიჭყტე. მამუკა ჩემს წინ ზის. წანერი ვერ გავარჩიე, მაგრამ ისედაც კარგად ვიცი, რას დანერს მამუკა: ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერი ის დღე მქონდა, კაბინეტში გაუფუჭებულ სინკრო-აზოტრონი რომ აგვიფეთქდა და ახალი მოგვეცხსო. ეს მამუკა ჭკუას კარგავს სქეშებისა და ფორმულებისათვის. მას გამორჩეული მათემატიკური ნიჭი აქვს და უკვე იცის სად უნდა შევიდეს. აქვს ცხოვრების მიზანი. მე კი ერთადერთი რამ მამადა — სიტყვების მარაგი. აი კიდევ ის, რომ გამოსვლა მეტერზედა და ამტოვს სამუხსიკო სასწავლებელში მოხსენებას მაკითხებენ ხოლმე კომპოზიტორების ცხოვრებას და შემოქმედებაზე. მოხსენებას მუსიკის მასწავლებელი წერს, მე კი ქალადი მიჭირავს და კვითხულაო.

მას გარდა, კონცერტებზე კონფერანსი ვარ ხოლმე. მაგალითად: „კლემენტის სონატინა, უკრაინ კატია შუბინა, პედაგოგ როსოლოვსკის კლასი“. და ეს დამახინჯებულად გამოიძის, იმიტომ, რომ მაღალი ვარ, სახის ფერი კარგი მაქვს და ფირმის ტანსაცმელი მაქვია. სახის ფერი და ფირმის ტანსაცმელი დედისგან გადამოხვეს, მაგრამ სიმძლვე ვიღახავან? — არ ვიცი. სადღაც წამიკითხავს: თანამედროვე პარკაგუმტარ პანელ-ბლოკებიან სახლუში ისეთი პირობებია შექმნილი, სათბურისას რომ უახლდებოდ, პოდა, ბავშვებიც სათბურის კიტრებიით იზრდებიანო...

რაც შეეხება ჩემი სიტყვების მარაგს, ეს ლიტერატურული ნიჭი არ ვახლავთ. უბრალოდ, ბერი სიტყვა ვიცი, რადგან ბევრს ვკითხულობ. ეს კი მამისგან მომდგამს. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ბევრი სიტყვის ცოდნა სულაც არ არის აუცილებელი. ჩემი უკასელი ბიჭები ორიოდ ლიტერატურა იოლად გადაიან: ტუხავს, ასწორებს, კაროჩე და სხვა...

ერთი კვირის წინ რადიოგადაცემას ვუსმენდი ბედნიერებაზე. იქ თქვეს, ბედნიერება ის არის, რამე ძალიან რომ გინდა და იმას შეისრულებო. ძალიან დიდი ბედნიერება კი — ძალიან რომ გინდა და მიიღწევო. ეს კია, როცა მიიღწე, ბედნიერება თავდაცა, იმიტომ, რომ ბედნიერება განხორციელებისსაკენ სწრავდა და არა თვით განხორციელებაო.

მე რალა მინდა? მინდა მეცხრე კლასში გადავიდე და კიდევ მინდა, ქურქი კი არა „დუბლიონკა“ მეცვას. (ამ დიდ ქუჩეში თავს ისე ვგრძობ, როგორც კიბობანში). თუმცა ჩვენს გასახლდელში ბიჭები ტანსაცმელს საპარტებულ სახელებს და ღილვებს აჭირან. ასე რომ, დუბლიონკის ტარება სახეფთაოა, სხვაგან კი მე არ დავდივარ.

ძალიან მე მინდა? ის, რომ მეცხრე კლასში გადავიდე, უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე შევიდე და მსახიობი ვ. ვ. გავიყნო. დედა მუეუბნება, მსახიობის შეყვარება შენს ასაკში იციაო. ოცნი წინაო, თურმე, თვითონ და მთელი მისი კლასი ქუჩას კარგადდენ ერთი მსახიობისათვის. ახლა ის მსახიობი ტყვა ჩაქურტებული, გაოცებას ხარ: რას უშერება ამან მინას დრო!

მაგრამ დედას ჩემი არ ესმის: მე ვ. ვ. ვ. შეყვარებული სულაც არ ვარ. უბრალოდ, ის დარტანანის თამაშობს ისე წაღდად, რომ გგონია თავად არის დარტანანი — უნიჭიერესი, მოულოდნელი, რომანტიკული. ჩვენ კლასულ ბიჭებს კი არა ჰგავს, „ასწორებს“, „ხაზავს“... და ჩემზე დაბლები კი არიან ორი სანტიმეტრიო.

„მუშუკებერი“ ექვსეტი ვახხვ, რიტა კიაშვი კი ათხერი, დედამისა უფიერასმანი მუშუკობს და რაზეც უნდა, ბილიტებს იმაზე იშოვნის. აბა, ჩემებს კი არა ჰგავს — არაფერი შოვნის თავი რომ არ აქვთ.

ერთხელ მე და რიტა სექტაკლის შემდგე ვ. ვ. ვ. დავუღარადეთ და უკან ავედევნეთ. მეტროს რომელ ვაკონსიოს ის შევიდა, ჩვენც იქ შევეყვით და თვალერება დავუნწყეთ. ჩვენცემ რომ გამოიხიბებოდა, მამინევე თვალს მოვაცილებდით და ვფრტუნებდით...

მერე რიტამ გამოარკვია, რომ ვ. ვ. ვ. კარიერისტი ყოფილა. ოღონდ ჯერ ისაა დასაღვნი, ეს უარყოფითი თვისებაა, თუ პირქით, დადებითი. მამაჩემი, მაგალითად, კარიერისტი არ



მხატვარი პარრო ფაჩულია

არის, მაგრამ დიდ ბედნიერებას რაღაც ვერ ვატყობ: არც ცხრილების სტიმული გააჩნია და არც წესიერი ხელფასი.

ლენკა კონოვალოვამ ფურცელი გაშალა, უკვე ნახევარი რვეული ჩაუნერგეკებია. მე კი ვზივარ და ჩემს ყველაზე ბედნიერ დღეს ვისხებ.

გულახდითად რომ გითხრაო, ჩემთვის ყველაზე ბედნიერი ის დღეებია, სკოლიდან დაბრუნებულს შინ რომ არაფერი მხედება. მე მიყვარს დედაჩემი: არ მაინეროვებს, ტყენს არ მილაყებს — მუსიკა იმეცადინო, წენინის პური მიაყილეო. დღდის თანდასწრებით ყველაფერს ისევე გავაკეთებდი, რასაც უმისოდ ვაკეთებ. მაგრამ მართლაც მაინც სხვაა...

თუ დედა შინ არ არის, კარში ბარათია გარქობილი: „გასალევი ფესხანმენდის ქვეშაა. კერძი გაჭურუაზეა. ვიქნები ექვსზე. ჩურჩხული გოგონა მყავებარ. ვაკონი. დედა“.

გახვთში წამკითხავს: მოსკოვი მსოფლიოში სულ ბოლო ადგილზეა დანაშაულობათა პროცენტის მიხედვითო. ერთი სიტყვით, მოსკოვი ყველაზე მშვიდი დედაქალაქი ყოფილა. ნაღდი სიმართლეა, ამაში საკუთარი გამოცდილებით დაერწმუნდი: უანასკენელ ქურდებაცას, ან უბრალოდ, ცნობისმოყვარე, ცუდი ზნის კაცს ჩვენი კიბე რომ ამოველო და დედაჩემის წერილი წაეკითხა, ზედმინდვით ზუსტ ინსტრუქციას მიიღებდა: გასაღები კართანაა — გააღე და შედი, სადღი გაჭურუაზეა — გაათბე და მიირთვი; ოჯახის პატრონები კი ექვს საათზე მოვლენ — შევიძლიათ არ იჩქაროთ, წასაღიღებს, გახვთით ხელში, სავარძელში მოისვენო, ექვსსათვის კი წაბრძანდეთ და თან გაყოლოთ მამარემის ჯენსი, ტყავის პიჯაკი და დედაჩემის „დუბლიონკა“. ამის შეტი ჩვენ არაფერი გვაბადია, იმიტომ, რომ ინტელიგენცია ვართ და ხელფასზე ვცხოვრობთ.

დედა ამბობს: ვისაც ქურდებისა ეშინია, სწორედ იმას გაქურდავენო. რისიკ გეშინია, ზუსტად ის მოგივარო. ამიტომ არასოდეს არ უნდა გემიროდესო. მართლაც ასეა: როცა მშენია, გაკეთილზე არ გამძახობს მეთქი, უსათუოდ გამძახებენ.

ლიფტიდან გამოსული კარებში გარჭობლ ბარათს რომ დავინახებ, მიხარია. როგორც მინდა, ისე ვიცხოვრებ! შინ შევდივარ. არაფერს ვაცხებებ, ისე, ცივად გაბლუბით პირდაპირ ტაფიდან ქურქავხვდიო. ფხად, ცივი უფრი გემირივლია. ცხელს გემო საერთოდ არა აქვს.

მერე რადიოლას ჩაერთავ, რაც შეიძლება მაღალ ხმაზე და ლენკა კონოვალოვას მოვიპატვებ. მე და ის კარადიდან გადმოვერით დედაჩემის კაბებს, თან ვიზომებთ და თან ვცეკვავთ, გრძელ კაბებში გამონყოფილები, ანსამბლი „ლურჯი ფრინველი“ კი მღერის, ყელს იხეებს...

მერე ლენკა მიდის, მე სავარძელში ვევლობი, პლედში ჩაბუნებული და ვკითხულობ. ახლა ორ ნივს ვკითხულობ: ხულიო კორტასარის მოთხრობებს და ალექსანდრე ვამპილოვის პიესებს.

კორტასარის მოთხრობაში „თამაშის დასასრული“ საოცარი სიტყვებია. ეს სიტყვები ჩემზე ისე ძალიან მოქმედებს, რომ თვალებს მაღლა ავაპყრობ და ვფიქრობ... ზოგჯერ სიცოცხლე წარმოუდგენლად მეჩვენება. ზოგჯერ კი სულ არაფერი მაინტერესებს და მაშინ დედას ვეკითხებ:

- ნეტა, ადამიანები რისთვის ცხოვრობენ? ის ამბობს:
- ტანჯვისათვის. ტანჯვა — ნორმაა. მამა კი უპასუხებს:
- ეგ ჩერჩეტებისათვის არის ნორმა. ადამიანი ბედნიერებისათვის არის გაჩენილი. დედა დასძენს:
- დაგაინწყდა დაგემატებინა — როგორც ჩიტი ფრენისთვისო. და კიდევ: სიბრალული ადამიანს ამცირებსო. მამა ამბობს:
- ამცირებს, აბა რა! შებრალეების იმედი მართო სულელებს და ლენჩებს აქეთ. ჭკვიანები მართო საკუთარი თავის იმედით არიან.

დედა არ ეთანხმება. სიბრალული ხომ თანაგრძობია, ტან-





— დავილაშ, — გამოუცხადე ირველი მყოფი ტრაგიკული ღირსებით.

— ასეც ვიცოდ! — იქედნურად გაიხარა ზაგროიკომ. — ჯერ გაიზარნა, ახლა კი თავს ნავეჭამს ტრაბახი...

ასე იყო თუ ისე, ნერგმა გაიხარა და მომავალ თაობებს დარჩება. ჰოდა, მარია ეფიშონჯამ ამ თემში ხუთიანს დამინერს — შეცდომები თითქმის არასდროს მომდის. თანდაყოლილი ნივინერი ვარ.

ისეც საათს დავხედე. თერთმეტი ნუთილა დარჩა. კალამი დავფერთხე და დავიწყე ნერა იმ დღეზე, მე და მამაჩემი დილით რომ კინოში წავედით და მერე იქიდან — ბუბისთან. დამინერის მარია ეფიშონჯამ რაც უნდა, სულერთია, არც ეგოისტი, არც კარიერისტი ჩემგან არ დადგება. ჰოდა, როგორც ყველა, მეც ისე ვიცხოვრებ.

დავწერე, რომ კინოკომედია, რომელშიც მთავარ როლს დეფუნესი ასრულებდა, საშინლად სასაცილო იყო და ჩვენ ისე გულთანად ვხარხარებდით, რომ ნინა რიგებიდან ხალხი ბრუნ-

დებოდა და გვიყურებდა. ბუბისთან კი ყველაფერი ისე გარკვეულად როგორც ყოველთვის. ჩვენ სამხარულოში ვისხედით და ძალიან გემრიელ თევზს შევეჭყვიოდით. მაგრამ მთავარი საქმელი კი არა, გარემოა. ყველას ვუყვარდი და დაუფარავად ხობას მასხამდნენ. მეც ისინი ასი პროცენტით მიყვარდა და ამით სასარგებლო საქმეს ვაკეთებდი.

მე მამაჩემის თვალები მაქვს, მამას — ბუბისი, თავლისფერი, სამუთხა წარბებით. ჩვენ ერთმანეთს შევეყრებდით ერთნაირი თვლებით და ერთსა და იგივეს ვარძნობდით და ყველანი ერთად ხეს ვრგავდით: ბუბო ფსევბი იყო, მამა — ხის ტანი, მე კი — ტოტები, მზისკენ განვლდი ტოტები.

და ეს საოცრად მშვენიერი იყო. რა თქმა უნდა, იმ დღეს ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერი დღე არ იქმნის. ეს იყო უბრალოდ ბედნიერი დღე. ყველაზე ბედნიერი კი ჯერ არ დამდგომია, მე ის მელოდება.

თარგმა ნანული ბარათაშვილმა



# ზეზისა და ქვესენელის საიდუმლო

ჩრდილოეთ იტალიის პატარა ქალაქი რივა-დელ-გარდა კურორტია, რომელსაც მთელს მსოფლიოში გაუთქვეს სახელი სხვადასხვა საერთაშორისო და იტალიურმა კონფერენციებმა, სიმპოზიუმებმა და შეხვედრებმა. წელს, შემოდგომაზე აქ გამართა „ასტრას“ XII კონგრესი, რომელშიც მონაწილეობდნენ პარაფსიქოლოგები.

...ირველად რივა-დელ-გარდაში შარშან, ოქტომბრის შუა რიცხვებში ჩავედი. ქალაქის კონგრესების სახანძროს ჩვენი თვის მეტად უჩვეულო შეხვედრა გაემართათ პარაფსიქოლოგებს და სხვადასხვა რელიგიური სექტების წარმომადგენლებს. რა სასწაულებს არ ახდენდნენ „მაგები“. ინდუსი რამდენიმე დღე მიწაში ჩაფლული იქდა, ინგლისელი გავრვარებულ ნაკერცხლებზე გადაი-გამოდიოდა, სამხრეთ ამერიკელე-

ბი ცეცხლოვანი მახვილით ისერავდნენ სხეულს...

მაშინ XI კონგრესის პრეს-ცენტრში მე შეხვედრის ერთ-ერთ ორგანიზატორს, უურნალ „ასტრას“ რედაქტორს რული სტრაუდერს ვესაუბრე.

— მრავალი წელია, — მითხარა რულიმ, — ჩვენს კონგრესზე საბჭოთა მეცნიერებსა და სპეციალისტებს ვიწვევთ, მაგრამ რატომღაც მათი ჩამოსვლა არ ხერხდება. ჩვენ კი აუცილებელ საჭიროებად გვესახება საკუთარი კონცეფციის გადამოწმება. თქვენ ხომ ვერ უარყოფთ იმას, რომ სამყაროში უამრავი აუხსენელი პროცესი და მოვლენაა. საიდუმლოებები, გამოცანები, ცხადია, მეტწილად, თვით ადამიანის ფეოქომენის არასაკმარისი ცოდნის ბრალია. მაგალითად: ბევრს მიაჩნია, რომ თვით აზრიც მატერიალურია. ჩვენ მისტიკურ შეხედულებებს კი არ გიზი-

რებთ, არამედ შეუცნობელ სფეროში შედღწევას ვცდილობთ. განა ეს ყველას არ აინტერესებს?

და აი, წელს „ასტრას“ XII კონგრესზე, გარდის ტბის პირას ჩამოვრდნენ საბჭოთა სპეციალისტები. ათას კაცზე მეტი შეიკრიბა ცენტრალურ დარბაზში, სადაც გამოდიოდა და სამექსპერიმენტს უჩვენებდა ჭუნა დავითაშვილი. ჭუნას და ე. დროსლოვს დიდი წარმატება ხვდათ. ისინი ლაპარაკობდნენ ადამიანის ქანმრთელობაზე და მეცნიერების განუხსლვერელ შესაძლებლობებზე, ჩვენი პლანეტის მშვიდობაზე.

არ დარჩენილა თითქმის არც ერთი მნიშვნელოვანი იტალიური გაზეთი, საბჭოთა დელეგატების გამოსვლები კეთილგანწყობილი ტონით რომ არ გაეშუქებინათ.

მ. ილინსკი

„ივესტია“, 22 X 88 წ.

# მეჩი



„როცა ყველაფერი გწამს, როცა ყველაფერი გჯერა“... ეს სიტყვები განსაკუთრებული ბუნების ადამიანებს მიესადაგება, ალბათ ოპტიმისტური და კეთილი გულის მქონეთ. ასეთია იგი. ასეთი იყო მაშინაც, ჩვენი სტუდენტობისას — გრძელწამწამებიანი, თვალეზობრივად, ლერწამტანა ქალღმერთი მერი მიქელაძე. თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტზე ვსწავლობდით მაშინ. სტუდენტობის წლებს თავისთავად ბევრი საინტერესო და სასიხარულო მოგონებები ახლავს. ჩვენი ჭგუფი ამხანაგური შეხმატკობებით გამოირჩეოდა — სულ ერთად ვიყავით, ვანსაკუთრებით მერის ოჯახში მივიხიზაროდა მისგან. ახლაც დაუფიქსარიბა მისი მშობლების თბილი მიღება. ჩვენ ისიც მოგვწონდა, შორს რომ ცხოვრობდნენ. ყველანი ერთად ავიკინძობოდით და გავწვევდით ძველი ავლაბარის შესახ-

ვევისაკენ (სადაც ახლა მეტრო 300 არავველია): ამ თავისებურ უბანში საცხოვრებელი სახლები მყუდრო და კოლორიტული იყო. რამდენჯერ შემოგვეთენებია მეცადინეობისას... როცა დავიღლებოდით, მერი, რამაზ ჩხიკვაძე და გურამ სალარაძე მშვენიერი სიმღერებით გვატკობდნენ. ალიონზე მიძინებულნი მუღმივად მობუზუნე რადიოს რომ არ გავეღვიძებინეთ, გამოსათიშად მიგეპარებოდით. მაგრამ ნურას უეცრავად — მიქელაძეების ოჯახში რადიოსთან ერთად იწყებოდა ცხოვრება. აი, აქ არის სათავე იმ დიდი, ბავშვობიდან შესისხლორციებული სიყვარულის რადიოს მიმართ, რამაც მერი საბოლოოდ თავის მხარეზე გადასძლია, თუმცა თეატრის მაცურებელს კარგად ახსოვს ახალგაზრდა მსახიობი რუსთაველის თეატრის მრავალ სპექტაკლში.

დღეს ცნობილსა და სახელმოხვეჭილს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტსა და დიქტორს რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებიდან დარბიონებიდან მადლობა და სიყვარულით აღსავსე მრავალი წერილი მოსილის რადიოს მსმენელებისაგან. ყველა მათგანში მაინც ერთი საერთო გრძობა გამოხატულია: „როცა თქვენ ხმას ვისმენ, ასე მგონია, ავერ, ჩემს სახლში დგახართ და მე ველაპარაკებთ. მოგვწონს თქვენი თბილი და აღერსიანი ხმა. თქვენი სიტყვის ძალა კი შთამბეჭდავია, შთამაგონებელი და ხალისიანი“.

ზოგი მსმენელი იმდენად ახლობლად სთვლის საყვარელ დიქტორს, რომ საკუთარი ცხოვრების ტივილსა და სიხარულზე ესაუბრება. პატიმრების წერილებსაც უხვად ლებულობს. ერთი მათგანი მოწიწებით სთხოვს: „მოკლე ხანში თავისუფლებას მომანიჭებენ და მინდა ჩემი სახლის კედლებში მყოფ პირველი „დილა მშვიდობისა“ თქვენ ჩემი ლოცოთ“.

იყო საქართველოს რადიოს დიქტორი, გადასცემდა საზეიმო დემონსტრაციებს, საუბრობდა ქვეყნის მნიშვნელოვან მოვლენების შესახებ — პრესტიჟული და ნდობით აღსავსე დავალებზე, რასაც მერი მიქელაძე პირნათლად და საქმის დიდი სიყვარულით ასრულებს.

დიქტორი მაღალი ტექნიკითა და მკაფიო მეტიკვლეებით უნდა გამოირჩეოდეს, უნდა შეეძლოს აზრის სწორად გადმოცემა, ავტორის ტექსტის გათავისება და უხილავი მსმენლის. მოვალეობა, შინაგანი ზედღიერთი მოვლენების ნათლად წარმოდგენა და გადმოცემა, რაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადადიოდეს მსახიობურ თამაშს ან ემოციურ გამომსახველობაში. მერი ყოველთვის ამის შევნიშვრად ავირჩევს, რასაც ადასტურებს რადიომსმენელთა ხშირი გამოძახილი.

მა საყვარელ პროფესიას, მამაკაცის ენერჯის რომ მოითხოვს, ბევრი უძლიო ღამე ახლავს თანამზარად. დილის 6 საათზე ხალისიანი ხმით ეთერში უნდა დაიწყოს გადაცემები, ამისათვის 4 სათზე ხომ მაინც უნდა იყოს ფეხზე. ადგილზე

# მეძეუნაძე

გამოცხადებას დაბრკოლებებიც უშლის ხელს, ამდროს ქალაქის ტრანსპორტიც არ მუშაობს. ახლა რა უკირს, საკუთარი მანქანით გასრიალდება, ადრე კი ერთგული მეუღლეს მასთან ერთად იტენდა ძილს კეთილი საქმისათვის.



წინააღმდეგობების და სირთულეების დაძლევა მერის ბედნიერებას ანიჭებს. ეს მისი განუყოფელი თვისებაა. მაგონდება სადიპლომოს სპექტაკლი ტურგენევის პიესის მიხედვით „ერთი თვე სოფლად“, მიშა თუმანიშვილის რეჟისორობით რომ დაიდგა. მერი მთავარ როლს თამაშობდა. სპექტაკლი 8 საათზე იწყე-

ბოდა, ზამთარი იყო მაშინ. ტრამვაის ხაზი შემთხვევით დაზიანებულიყო და ქალიშვილს ფეხით მოუხდა წამოსვლა. ძლიერ ყინავდა, ქარი სახეში სცემდა და უკან აბრუნებდა. მერი, ნარბენი და თვალმეტყრემლებული, თუმცა არ ტიროდა, აჩქარებული შემოვარდა, ეს ამბავი კი ასე გადმოგვცა: „რაც უფრო მეტად ვმჭარბებოდი, მით უფრო მეტად ვეჩაბრებოდი ქარაშოტს და გულში ასე ვიძახიდი: არ დაგებდები, დღეს უფრო კარგად და ძლიერად ვითამაშებ, მთელი გულითა და სულით“.

დიქტორი მერი მიქელაძე მინც ხელოვნების სიყვარულით ცხოვრობს. ამის დამამტკიცებელია პოეზიის მრავალ საღამოზე მისი შთამბეჭდავი და ამაღლებველი გამოცვლები.

ასზე მეტი ფილმი წარმატებით აქვს გახმოვანებული. მისი შემოქმედებითი გზა შეუმჩნეველი არ რჩება — რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს მიღებული აქვს უმაღლესი საპიროს რამოდენიმე სიგელი, მრავალი შრომითი წარმატებისთვის. არიონული საბჭოს დეპუტატს ვეტერანის წოდებაც მიანიჭეს: ქალბატონ მერის 60 წელი შეუსრულდა.

„იუბილე სიამაყის მომენტია“. „იუბილე განვლილი დროის და მომავლის ჰერეტაც არის“.

ხელნაწიანი და გულსაცხე მებეგება ის ამ სოლიდურ ასაკს. და სულ მალე, როგორც მხატვრული სტიკის ოსტატი, მაყურებლის წინაშე წარადგება ერთი მსახიობის თეატრის სცენაზე.

მერი! თანაკურსელები ვიდღეგრძელებთ ოჯახს, ორ მშვენიერ ხელოვან ქალიშვილთან და პატარა შვილიშვილთან ერთად. და მაინც, საიუბილეო მილოცვა მესხეთიდან გამოგზავნილი რადიომსმენელის ბარათით შინდა დავამთავრო: „დაე, მრავალ წელს ასე საამოდ გაისმოდეს თქვენი ხმა ეთერში — ჩვენი მსმენელების გასახარად! გისურვებთ სიხარულს, მშენ, მშვიდობასა და ბედნიერებას!“.

## ნანი ჯაში


\*\*\*  
ქალო, სირცხვილია,  
შინ შედი... ჰაერი  
ურცხვად გეხება და გლოკავს...  
ქალო, ეგ ღიმილი, .ჯოკონდანარი,  
ვილასა ქუჩაში მოკლავს".  
ნიაჯი გიწუნებს ფაფუკი თმის ღერებს.  
ვნებამორეული ხინჩაჯავს...  
ქალო, სირცხვილია,  
უელს როგორ იღერებს  
მაგ ხახვს გულ-მჭრდში ჰინკა..  
როგორ გავხვს ეშმაკი ურქი და უსულ  
ბადავით პირსახვს ფინჩას...  
ქალო, სირცხვილია,  
დახარე ქუთუთო,  
შიშველი თვალები გაჩანს.

\*\*\*  
გაგახნებდი, ვიცო, ერთხელაც—  
როცა ქალბარა დაიწუნებს თოვას,  
როცა წარსულის ხელის შეხებას  
მოწყებდა სსოფნის უცრემლო გლოჯა...  
მერე შეხტება გული კვიციოვთ,  
ჰინკა სიშვიდეს გაუბნას ბრძოლას...  
მოგვანატრება ჩემი სიცილი.  
დამიძახებ და...  
მე აღარ მოვალ.

\*\*\*  
ომის დროს იცი, — ვინ არის მტერი...  
ბრძოლა მშვიდობის დროსაა ძნელი, —  
როცა ვერ ხვდები ვინ გავებს მახვს,  
ვერ ცნობ გარშემო კუშპირატ სახვს,  
ვერ გრძნობ შენს ირგვლივ რა ხდება ჩუმად...  
ბრძოლა მშვიდობის დროსაა, თუა,  
ბრძოლა მშვიდობის დროსაა ძნელი,  
თორემ, ომის დროს, — ნათლად ჩანს  
მტერი.

\*\*\*  
გაზაფხულს ველი, ზამთრისგან  
მთლად გათოშობი მიწა ვარ,  
არ დაყოფდა იმანაც,—  
მოვიცა, დადგა, იმძლავრა..  
ზეც გელო ისევ, ქალო ვარ,  
გულში სხვა ვერაინ იწამა,  
რომ არ მოხვიდე, — მოკვადები,  
მოკვადები, შენს თავს ვუციცავარ.

ღამანა მდინეიზშილი



შირის ზესტაფონის რაიკომის მდივანი, შემდეგ კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი გახლდათ. ბაბო რაიკომის განყოფილების გამგედ მუშაობდა.

ბაბო ჭაჭიაშვილის ცხოვრების ღირსასხივარი დღე იყო მაშინ, როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩარიცხულ სტუდენტთა შორის თავისი სახელი და გვარი ამოიკითხა.

უნივერსიტეტის თეთრი შენობა, წმიდა ტაძარი ბაბოსთვის ყველაფერს ნიშნავდა — რწმენასაც და მომავლის განჭვრეტასაც; მიზანსაც და ყოველდღიურობასაც. აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, სერგი დანელია, შალვა ნუცუბიძე უკითხავდნენ ლექციებს. ეს მისთვის დიდი ზედწინერება იყო. სტუდენტობას ხომ მართლაც თავისი განუმეორებელი ხიბლი აქვს.

ბაბოს მეუღლე დომენტი დანელია უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე სწავლობდა, მეგობრობდა თანაგუგუფელებთან — ანდრია აფუქიძესთან, იური კაჭარავასთან. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ წალენჯიხისში პარტიის რაიკომის განყოფილების გამგედ გაგზავნეს.

ბაბო უმდაგოგიურ საქმიანობას შეუდგა. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი წალენჯიხის უმდაგოგიური

წლებში ჟურნალ „ოქტომბრის“ რედაქტორობდა, სხვა ჟურნალ-გაზეთებში თანამშრომლობდა, წერდა სტატიებს. „ახალგაზრდა კომუნისტმა“ გამოაქვეყნა მისი საინტერესო წერილი „მე კომკავშირელი დედა ვარ“, რომელსაც მკითხველთა დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

ბაბო რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერი მუშაუკი იყო. აკადემიკოს აკაკი შანიძეს პირველ ბეჭდური (ვახტანგისული) გუზუბისცაოსის“ აღდგენილ გამოცემაში დამონებულ იქნა აქვს ბაბო ჭაჭიაშვილის მიერ მინოდებული ცნობები.

ჟურნალ „ოქტომბრის“ 1935 წლის მე-12 ნომერში ბაბო ეკატერინე გაბაშვილის შესახებ წერდა:

„...რამდენიმე დღის წინათ ჩვენი ჟურნალის რედაქციის მუშაკები მწერალ ქალს, ეკატერინე გაბაშვილს ვესტუმრეთ. აი, გილო კარი, გამოჩნდა იგი. თოვლივით თეთრი თმით შემოსილი თავი, ჭკვიანი, ჯერ კიდევ სიცოცხლის ხალისით სავსე თვალები უნებლო პატივისცემასა და მოკრძალებას იწვევენ.

...ახლა იგი 84 წლისაა და წერის ხალისი კიდევ არ დაუკარგავს. თვალში შემოქმედების ცეცხლით უელავს. აი, თავისი თანამედროვე მწერლებზე და მოდერნებზე გვესაუბრება, და ჩვენს წინ იშლება ილახა და აკაკი დრო.

# საბჭოთა საქართველო

რ

ემს წინ თმადათოვლილი, სათნო სახის დარბაისილი ქალი ზის. სვედიანი თვალეში გარდასულ დროთა ნაიარევი შერჩენია. კედლიდან ჩვენთან ნაადრევად დასასული, მარად ქაბუკად დარჩენილ ახალგაზრდა კაცის სახება გადმოკვეცტერის. მანდილოსანი ნამოდდა, კედელს მიაპყრო მზერა. ეს ჩემი მეუღლეა — დომენტი დანელია, ოცდაჩვიდმეტის მსხვერპლი და მან თხრობა დაიწყო.

ზესტაფონში, სოფელ არვეთაში მზებობდა ბაბო ჭაჭიაშვილის ბავშვობა. იქ ეზიარა ქართულ აზნანს, გოგებაშვილის „დედა ენას“. ბაბოს სასწავლებელში ქართულ ენასა და ლიტერატურას ცნობილი უმდაგოგი კალისტა ბარათაშვილი ასწავლიდა, რომელიც შემდეგ მისი შვილების უმდაგოგიც იყო. კასიონ კაბანაძე, მიშა წერეთელი, გალინა ბარდაველიძე აქტიური კომკავშირელები იყვნენ. ბაბომაც აქ მიიღო იდეური წრთობა და ნათლობა. დომენტი დანელია კომკავ-

ტენიკოსის მოსწავლეებს პირველად შეხვდა.

ახალგაზრდობის სწრაფვა და ინტერესი დიდი იყო ლიტერატურისადმი. ბევრს კითხულობდა. იმართებდა საინტერესო სჯავაბას.

ბაბო იგონებს: — და ახლაც, ნახევარი საუკუნის შემდეგ, ცოცხლად მიდგას თვალწინ მაღალი, ხმელნემილი, მოკრძალებული, ცოდნის წყურვილივით ანთებული თვალეებით მომხიარული ჭაბუკის — ვლადიმერ უბილაგას სახე. იგი მერხთან მდგარი, გატაცებით კითხულობდა საკუთარ ლექსებს:

„ღიღინას მერცხლის ხმა მეგონა  
შენი მეკორცელი მოძახილი,  
გულში სხვი ჩამეკონა  
და ნამქერი ზამთრის დღის“.

სამიოდ წლის შემდეგ დომენტიც და და ბაბომ მოღვაწეობა თბილისში განაგრძეს. ბაბო გაზეთ „კომუნისტური“ განყოფილების გამგედ დანიშნეს. 1935-37

იგი გვირგვინა ჟურნალში თანამშრომლობას. ჩვენ ვემშვიდობებით“.

დომენტი დანელია ერთხანს ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის პარტიკომის მდივანი იყო, პოლის პარტიის 26 კომისიის რაიკომის მდივანად დაანიშნურეს. 29 წლის ახალგაზრდას პარტიულ-კომკავშირული მუშაობის საინტერესო ვუბა ჰქონდა განვილი. მაგრამ ჩამონვა ოცდაჩვიდმეტის შვიი ღრუბელი. დომენტი დაპატიმრეს.

ოჯახი მეტების ქუჩაზე ორთოხიან ბინაში ცხოვრობდა, საიდანაც გაიპასახლეს. დედის ანაბარა დარჩნენ 3,5 წლის ფელიქსი და 11 თვის თამაზი. ბაბომ მოსყენება დაკარგა. თუთრად ათიუნება დაიწება. ცალად დარჩენილ შვილების სუნთქვა ათობდა, სიცოცხლის ძალას მატებდა. მაინც არ დაახანეს, იმედის მტყუტკვი ნაპირკალი უშლალ ჩაუქრეს. შიში გამართლდა. დაუპატიმრებელი სტუმრები გვიან ღამით მოვიდნენ. გაემზადეთ, დაპატიმრებული ხართო, — ცი-





ვად უფროსს. ვნიშობინის ქუჩიდან, ეკლესიის ნახევარდაზოფიდან ძნელ გასა გაყურებას. არად ჩაადგეს, ორი უსუსურის ცის ანაპარა მიუსაფრად დატოვება. უსულ-ვალოთა ნერვი არ ტოკავდა უფაღმამოთ დადრჩილთა ბედის გამო. არავითარი შეცოდება და ფიქრი დახგრეულ ბუღუბე, დაბრუნებულ ოჯახზე.

საკანის კარი მძიმედ გაიღო. პატიმარ ქალს გამოძიებელი იხიბდა. ბაბო ეფელთან ზურგიდან დააყენეს, მაკერად უმრძანეს, გვიანზე შენს კონტრარეოლუციურ მუშაობაზეო. — საიდან მოიგანეთ ეს ბრალდება? — მე არავითარი კონტრარეოლუციურ საქმიანობას არ ევეცი, — მტკიცედ უპასუხებდა ქალი. გამოძიებელი ცხარობდა, ძიება ძალმომრეობდა.

ბაბო მოვეითობის: „სამსხვერპლოზე ნამოყვანს. რეპრესიები გრძელდებოდა. ჩემი მეუღლე უმართებულოდ დააპატიმრეს-მეთოქო, — ყველანა ადამარი საკითხი. არ მასვენებდა უფანაშაულოს დასჯის სიმძინეს, მაგრამ, აბა, ვის სცხვლავ ჩინთვის. შედგე არ მაცხვლავ და მეც შეუღლის ბედს მზიარეს. მერე იგი უფანაშაულოდ დახვრტეს, მე კი ხანგრძლივად დავმანახლეს“.

თბილისი, „გუბერნიისკი“ ციხე. რუხი ფერის უსყვი და ცივი კედლები. ბაბო ჭაჭიაშვილის შვილთან შეხვედრის ნება დაართეს, რკინის გისილი ჰყოფდა დიდებს პატარა ფელიქსისაგან, რომელიც დეიდამ მოიყვანა საპატიმროში. ბავშვი გამძობი ტირილდა, შორიდან უცქერდა ფერმუცვალად მოზობლს, ცრემლს რომ აფრქვევდა. ხელგებანვილი იდგა პირმშოს პირისპირ, სიმინის ალბურო ასნიოდა საკანში შეფხვებ პაბოს.

ერთი წლის შემდეგ საქართველოდან შორს — იარსილაკის ოლქში, რიბინსკოი გადასახლეს. პატიმროში გადატვირთულ ვაკონში სუნიქეა ჭირად, ფიქრშემოჯარულს პატარბულის პორბლების მონოტონური ხმაური გულს უწერვლილბდა. დღეები მიდიოდა, შობილოურ შიარეს თანდათან შორდებოდა, ჩრდილოეთში კი იდგა ყინვა და პატარმისათვის მძიმე დღი.

მწერალი კლავდია დევდარიანი იგონებს: „ყურანალ „ოქტომბრელის“ რედაქციამ შედეგი. რედაქციის მადვიას ახალგაზრდა შვიისუჭუჭუმინი ქალი უფდა. უხდებოდა თეთრყრიბის სახე და ბრიალა ჭყვიანური თავაღობი.“

ასე გაეცინა ბაბო ჭაჭიაშვილი. მის შემდეგ რედაქციის ხშირი სტუმარი გახლდითი. საერთო უბედურებანი კი სამუშაოში დიდ დავამეგობარს. ჩემი და ბაბოს ქორები 1937 წლის მსხვერპლნი გახდნენ. გატირებამ მტკიცედ და ურყევი თანადგობა იცის.

ბაბოს ორი პატარა ბიჭი დარჩა. მე კი — ერთი ქალიშვილი. ვტირებდა. ახალგაზრდა ოჯახები გვექონდა და, აბა, რისი პატარონი იქნებოდით.

თბილისში 1938 წლის ზაფხული იდგა.

სუნიქეა ჭირად, ისე ცხელდა. საშუალებად არ გვექონდა ჩვენი პატარები სადმე ნაგვეყვანა.

ისევ საერთო ნაცნობი ქეთო დევდარიანი-კაკუშაშვილი დაგვემზარა, ჩვენი შვილები საზაფხულოდ თავის ბალთან ერთად ნალვერში წაიყვანა.

ბავშვები თუმცა პატარები იყვნენ, მაგრამ მაინც გრძნობდნენ რაღაც უბედურებას. ძალზე უჭირდათ უჩვენებია.

აი, ერთ მუახის ბაბოს მეც ჩვეულებრივ გაუფარე სამსახურში ნალვერში წასასვლად.

იგი ოთახში არ იყო. იქ სამინი ისხდნენ.

— ბაბო სად არის? ვკითხე მე. სამივემ მუშაობას თავი დაანება, ვაკვირვებით შემომბაჩედნენ. მე შევეტირა. ახალგაზრდა ქალმა თავი დახარა და ძლიეს წაიჭურქლა.

— ბაბო გურმინ წაიყვანეს.

თვალთ დამინდობდა, მუხლი მომეკვცვა. სიტყვის თქმა ვერ მოხერხებულა. კობეზე ძლიეს ჩავედი, თავბრუ მესხმდა. ბაბო წაიყვანეს, ბაბო წაიყვანეს, ბავშვები? თავში ერთი აზრი მიტრიალდებდა, წავიდე ბავშვების სანახავად თუ არა? არა, არა, უნდა ნაიდე, რომ წაიყვანონ, ერთხელ მაინც ვნახავ ჩემს გოგონას. სადღურისთვის გაევიცი.

გულში ვიკრავდი ჩემსა და ბაბოს შვილებს და უტრემლოდ დაეტვირთი უდროოდ დაიბოძებულებს.

დედა რატომ არ მოვიდა? — ტიტკიკება პატარა ფელიქსი. ცრემლები ძილწროდა და ძლიეს ვუღვლოდებოდა:

— აი, დეიდას ეს ვაშლები გამოგიგზავნათ, შეგიხვე კვირას ერთად მოვალთ.

თბილისში ჩამოვედი თუ არა, ბაბოს დასანიკოს ზესტაფონში დებუმა გაუფაზავენი. ისიც ჩამოვიდა და ბავშვები საჩქაროდ წაიყვანა“.

\* \* \*

გადიოდა წლები... ფელიქსი თავს მევეყვე კლასის მისწავლედ გახდა. თამაშს დეიდა ანიკო ზრდიდა, ფელიქსი კი ბიძა ზურბა ჭაჭიაშვილი მზრუნველობდა. ბავშვი ბეჭეთდა სწავლობდა. ჩინებული ქვეყნი, დისციპლინი გამორჩევიდა. ერთ დღეს დიდი სიციხე მოსდა. სასწრაფოდ ექიმის უხმეს და მუყუნის ტიფოამ, — დიაგნოზი დაუსტეს. ზარდაცუქონი იყვნენ გამწარდლებნი. ვიავალბებით ბავშვი სიკვდილს გამოსტაცებს.

